ქ. თბილისის მერია

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქუჩის მიმდებარედ და კიკვიძის პარკში მედიათეკის შენობების (ექსტერიერი) მისი გარე პერიმეტრების დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვა

წინამდებარე საკონკურსო პირობები შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2012 წელი

საკონკურსო განცახდება

1. ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7), ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ბ. ხმელნიცკის ქუჩის მიმდებარედ და კიკვიძის პარკში მედიათეკის შენობების (ექსტერიერი) მისი გარე პერიმეტრის დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).

2. **შესყიდვის ობიექტი**:

- **ლოტი I** - ბ. ხმელნიცკის ქუჩის მიმდებარედ მედიათეკის შენობის (ექსტერიერი) მისი გარე პერიმეტრების დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.
- **ლოტი II** - კიკვიძის პარკში მედიათეკის შენობის (ექსტერიერი) მისი გარე პერიმეტრების დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

3. კონკურსის მიზანია – ბ. ხმელნიცკის ქუჩის მიმდებარედ და კიკვიძის პარკში მედიათეკის შენობების (ექსტერიერი) მისი გარე პერიმეტრის დიზაინი და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაცია შექმნა.

4. საკონკურსო პრემიის (მათ შორის როგორც შენობის (ექსტერიერი) ასევე გარე პერიმეტრის დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და საავტორო უფლებების გადაცემის) ოდენობა შეადგენს *(კონკურსში ფიზიკური პირის გამარჯვების შემთხვევაში ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია, ქვემოთ მითითებული თანხების ფარგლებში)*:

- **ლოტი I** - 37000 ლარი;
- **ლოტი II** – 41500 ლარი;

5. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (მხოლოდ შესყიდვის ობიექტების დიზაინის პროექტი ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 30 მაისის 17:00 საათიდან 2013 წლის 10 ივნისის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, ქ. თბილისის მერია, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

6. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 10 ივნისის 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისის მერია, ჟ. შარტავას ქ. N7 მე-15 სართულზე, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

7. კონკურსანტს უფლება აქვს ნებისმიერ ლოტზე წარმოადგინოს დიზაინის ერთი ან რამდენიმე ვარიანტი.

საკონკურსო პირობები

1. ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7), ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ბ. ხმელნიცკის ქუჩის მიმდებარედ და კიკვიძის პარკში მედიათეკის შენობების (ექსტერიერი) მისი გარე პერიმეტრის დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).

2. **კონკურსის მიზანია** – ბ. ხმელნიცკის ქუჩის მიმდებარედ და კიკვიძის პარკში მედიათეკის შენობების (ექსტერიერი) მისი გარე პერიმეტრის დიზაინი და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაცია შექმნა.

4. **შესყიდვის ობიექტი**

- **ლოტი I** - ბ. ხმელნიცკის ქუჩის მიმდებარედ მედიათეკის შენობის (ექსტერიერი) მისი გარე პერიმეტრების დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.
- **ლოტი II** - კიკვიძის პარკში მედიათეკის შენობის (ექსტერიერი) მისი გარე პერიმეტრების დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

5. საკონკურსო პრემიის (მათ შორის როგორც შენობის (ექსტერიერი) ასევე გარე პერიმეტრის დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და საავტორო უფლებების გადაცემის) ოდენობა შეადგენს *(კონკურსში ფიზიკური პირის გამარჯვების შემთხვევაში ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია, ქვემოთ მითითებული თანხების ფარგლებში)*:

- **ლოტი I** - 37000 ლარი;
- **ლოტი II** – 41500 ლარი;

6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

6.1 . საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).
6.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

13. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 10 ივნისს 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისის მერია, ჟ. შარტავას ქ. N7 მე-15 სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

14. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (მხოლოდ შესყიდვის ობიექტების დიზაინის პროექტი ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 30 მაისის 17:00 საათიდან 2013 წლის 10 ივნისის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7 მე-15 სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

15. საკონკურსო პრემია გამარჯვებულ კონკურსანტს გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის ხელშეკრულების გაფორმების (დიზაინის, პროექტის და შესაბამისი ყველა საავტორო უფლებების ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში გადაცემის) შემდეგ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

16. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:

- ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილ დიზაინს (სიტუაციურ გეგმებს; მედიათეკის შენობი(ები)ს გარე იერსახის (ვიზუალური იერსახე რენდერების სახით), ცენტრალური შესასვლელის და ეზოს კეთილმოწყობის არქიტექტურულ გადაწყვეტას), ხოლო გამარჯვებულმა კონკურსანტმა 40 დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა (დეტალური არქიტექტურული პროექტი).
  არქიტექტურული პროექტი უნდა შეიცავდეს:

1. ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება, საინჟინრო ქსელების არსებული მდგომარეობის დაფიქსირებით;
2. საინჟინრო გეოლოგიური კვლევა;
3. ვერტიკალური გეგმარებისა და კეთილმოწყობის პროექტი;

4. არქიტექტურული პროექტი;
5. კონსტრუქციული პროექტი;
6. სპეც.სამუშაოების პროექტი:
   ა) გათბობა-ვენტილაცია-კონდიცირება.
   ბ) სანტექნიკა, ელექტროობა (მ.შ. ტერიტორიისა და შენობის გარე განათება);
7. სუსტი დენების პროექტი;
8. საირიგაციო და წყალანირების პროექტი;
9. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
10. მშენებლობის კალენდარული გრაფიკი;
11. ხარჯთაღრიცხვა (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია excel ფაილში);
11. სივრცითი დაგეგმარებას.

- რეკვიზიტებს დანართი #1–ის მიხედვით;

17. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმით:

- დიზაინის (ექსტერიერის) ვიზუალური მხარე – კოეფიციენტი – 1,0

საკონკურსო წინადადება შეფასდება საკონკურსო პირობებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმისა და ამ კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტის მიხედვით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

შენიშვნა:

საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებული იქნება ზემოთ მითითებული კრიტერიუმით მხოლოდ შენობის დიზაინი (ექსტერიერი). შეფასების შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია 40 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სრულყოფილი პროექტის წარმოდგენა ზემოთ მითითებული 16/1 პუნქტის შესაბამისად.

18. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების შესაბამისად.

19. კონკურსთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა #7, მე–15 სართული. საკონტაქტო პირი: გივი ჭუმბურიძე ტელ: +99532 2 37-86-64

ტექნიკური დავალება

მედიათეკის შენობები უნდა განთავსდეს

I. ბ. ხმელნიცკის ქუჩის მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.17.11.026.088) საპროექტო ფართი - 1700-1900 მ^2. თან ახლავს საკადასტრო რუქა.

II. კიკვიძის პარკში დანართში მითითებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.12.12.003.043) საპროექტო ფართი - 1400-1600 მ^2. თან ახლავს საკადასტრო რუქა.

აღნიშნულ მისამართზე შენობის კონსტრუქციები (დიზაინი-ექსტერიერი) უნდა იყოს ჰარმონიაში ადგილობრივ ლანდშაბტთან (საჭიროების შემთხვევაში გამწვანებითი ღონისძიებების გატარება). შენობის დიზაინი სასურველია ითვალისწინებდეს თემატურ შტრიხებს, გადაწყვეტილი იყოს თანამედროვე არქიტექტურულ სტილში და ვიზუალურად იყოს ადვილად აღქმადი.

პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას:

- ერთი განყოფილებიდან მეორეში გასასვლელი მანძილი მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი;
- იმგვარად უნდა მოხდეს მედიათეკის სივრცითი დაგეგმარება, რომ მომხმარებელი მხოლოდ ერთხელ გადიოდეს კონტროლს და თავისუფლად გადაადგილდებოდეს მთლიან შენობაში;
- შენობის დაგეგმარებაში გათვალისწინებული იქნეს უნარშეზღუდული ადამიანების საჭიროებები;
- კლიმატი ვენტილაცია (ზამთარში: 20 C^0 +/- 1.5 C^0; ზაფხულში: მაქსიმუმი 28 C^0)
- შენობა უნდა იყოს საქართველოში არსებული უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში (გათვალისწინებული უნდა იქნეს განიერი კიბეები, უსაფრთხოების გასასვლელები და ა. შ.);
- მედიათეკა აღიჭურვოს ისეთი ტიპის იატაკით, რომ მოსავლელად იყოს ადვილი და ამასთან კომფორტული;
- მშენებლობის დროს გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი მასალა (ჭერი, იატაკი, კედლები), რომელიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს შენობის ხმაურისგან იზოლირებას. ეს განსაკუთრებით ეხება სამუშაო ადგილებს.
- ბუნებრივი სინათლე მომხმარებლისთვის კომფორტზე დადებით გავლენას ახდენს თუმცა ცუდია წიგნებისთვის (მალე ყვითლდება). შენობა ისე უნდა იქნეს აგებული, რომ მაქსიმალურად გამოყენებული იქნეს ბუნებრივი სინათლე (დიდი ფანჯრები, ვიტრინები).განსაკთრებით აღმოსავლეთის მხრიდან შენობა აღიჭურვოს მზის შუქისაგან დამცავი შიდა ან გარე ჟალუზებით.
- სივრცე გაშლილი დიდ ფართზე, რაც შეიძლება ნაკლები ჩატიხვრებით (მოძრავი ავეჯით უნდა მოხდეს განყოფილებების გამოყოფა);

მედიათეკის სივრცითი მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

1. მისაღები (დოკუმენტების მიღება-გაცემა);
2. მოზარდებისა და დიდების განყოფილება (12 წლიდან):
   - მისაღები, საინფორმაციო;
   - წიგნები (თაროები, ეტაჟერები);
   - ადგილზე მუშაობა (დასაჯდომი ადგილი);

- ჟურნალ-გაზეთები;
- დოკუმენტური მასალა;
- ქსეროსის აპარატი;

3. პატარების განყოფილება (0-11 წლამდე):
   - მისაღები, საინფორმაციო;
   - წიგნები;
   - ადგილზე მუშაობა;
   - ჟურნალ-გაზეთები;
4. აუდიო-მულტიმედიური განყოფილება:
   - მისაღები, საინფორმაციო;
   - ადგილზე მოსმენა;
   - ვიდეო აპარატურა;
5. წრე/ანიმაცია:
   - ანიმაციის განყოფილება;
   - ზღაპრის საათი/ატელიე;
6. პერსონალისათვის განკუთვნილი სივრცე;
7. სხვადასხვა შიდა საჭიროებისათვის საჭირო სივრცე;
8. ლიტ-კაფე / მშობლებისათვის;
9. ღია სივრცე (წრეებისათვის);
10. წიგნის მაღაზია;
11. „მწვანე თეატრი“;

შენიშვნა: კონკურსანტმა სრული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ელექტრონული ვერსიისა (DWG და PDF ფორმატში) და ნაბეჭდი სახით (ოთხ ეგზემპლარად ელექტრონული ვერსიების ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8მგ).

გამარჯვებული ესკიზის (პროექტი) გარდა, კონკურსზე წარმოდგენილი ყველა ესკიზი (პროექტი) კონკურსში მონაწილე(ებ)ს დაუბრუნდება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

დანართი N1

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

კონკურსანტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

კონკურსანტის ხელმოწერა _____

ბ.ა.

**თუ კონკურსანტი ფიზიკური პირია უნდა მიეთითოს პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით პირადი ნომერი.*

დანართი N2

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ *პროექტი*

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი **--. --. 2013 წ.**

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერია, წარმოდგენილი ქ. თბილისის მერის ---------- სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ „----------", წარმოდგენილი მისი დირექტორის --------- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი

ქ. თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქუჩის მიმდებარედ და კიკვიძის პარკში მედიათეკის შენობების (ექსტერიერის) მისი გარე პერიმეტრების დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შექმნის მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება.

1.ხელშეკრულების საგანი

ბ. ხმელნიცკის ქუჩის მიმდებარედ და კიკვიძის პარკში მედიათეკის შენობების (ექსტერიერის) მისი გარე პერიმეტრების დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში გადაცემა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარში.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ????????? ლარს.

3.3*(კონკურსში ფიზიკური პირის გამარჯვების შემთხვევაში ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია, ქვემოთ მითითებული თანხების ფარგლებში)*:.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.

3.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 2013 წლის თბილისის ბიუჯეტით, ბ. ხმელნიცკის ქუჩის მიმდებარედ და კიკვიძის პარკში მედიათეკის შენობების (ექსტერიერის) მისი გარე პერიმეტრების დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის (პროექტი) და აღნიშლ (პროექტზე) ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
4.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
4.4.მიმწოდებელი ვალდებულია:
4.4.1. ქ. თბილისის მერიას საკუთრებაში გადასცეს მედიათეკის ემბლემის ესკიზი (პროექტი) და შესაბამისი ყველა საავტორო უფლებები;
4.4.3 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
4.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
4.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება.

5. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი“)

5.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.
5.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
5.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
7.2თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. გამოყენებული სამართალი

8.1ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

9. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

9.1ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
9.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს ----------.

11. სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
11.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
----------	----------